

შპს “თიბისი კაპიტალი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 3

ფინანსური ანგარიშგება

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 5

სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 6

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ..... 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 9
2. წინა წლის რეკლასიფიკაცია 9
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა..... 9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 16
5. ფული და ფულის ეკვივალენტები 17
6. მოზარეული აქტივები და ვალდებულებები..... 17
7. გადასახადები 17
8. ინვესტიციები 17
9. არამატერიალური აქტივები 18
10. საწესდებო კაპიტალი 18
11. სხვა ვალდებულებები..... 18
12. საბროკერო შემოსავლები და პირდაპირი ხარჯები..... 19
13. სხვა შემოსავალი 19
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 19
15. პერსონალის ხარჯები 20
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 20
17. კაპიტალის მართვა 22
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 23
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები 24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი კაპიტალის“ დამფუძნებელს და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თიბისი კაპიტალის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში კომპანია), რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელი კომპანიისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია რომ გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე. უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია რომ გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ანდაც შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე მოსაზრების გამოსახატავად
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, რათა ისინი სამართლიანად ასახავდნენ მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებთ და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

28 მარტი, 2018 წელი

შპს „თიბისი კაპიტალი“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	562,218	610,898
კლიენტების მიერ მოხარებული თანხები	6	746,416	416,263
სხვა აქტივები		7,373	5,855
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		-	72,227
საგადასახადო აქტივი	7	23,245	861
ინვესტიციები	8	1,004,339	1,004,339
არამატერიალური აქტივები	9	7,724	9,699
სულ აქტივები		2,351,315	2,120,142
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,688,295	2,688,295
აკუმულირებული ზარალი		(1,235,060)	(995,698)
სულ კაპიტალი		1,453,235	1,692,597
ვალდებულებები			
მიხარებული ვალდებულებები		746,416	416,263
სხვა ვალდებულებები	11	151,664	11,282
სულ ვალდებულებები		898,080	427,545
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,351,315	2,120,142

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 28 მარტს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ

დირექტორი _____ ირაკლი ელაშვილი

ბუღალტერი _____ ნინო ედიშერაშვილი

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	12	754,518	429,139
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	12	(332,776)	(184,044)
ნეტო საბროკერო შემოსავლები		421,742	245,095
სხვა შემოსავალი	13	78,395	156,194
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(40,384)	(53,826)
პერსონალის ხარჯები	15	(707,333)	(557,764)
სულ საოპერაციო ზარალი		(247,580)	(210,301)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო		(5,629)	10,833
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან		13,847	32,328
სულ არასაოპერაციო ზარალი		(239,362)	(167,140)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
სულ წმინდა ზარალი და სხვა სრული შემოსავლები		(239,362)	(167,140)

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,691,295	(828,558)	862,737
წლის შედეგი	-	(167,140)	(167,140)
საწესდები კაპიტალის ზრდა	997,000	-	997,000
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,688,295	(995,698)	1,692,597
წლის შედეგი	-	(239,362)	(239,362)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,688,295	(1,235,060)	1,453,235

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(239,362)	(167,140)
ცვეთა და ამორტიზაცია	1,975	2,151
საპროცენტო შემოსავალი	(13,847)	(32,328)
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი (მოგება)/ზარალი	5,629	(10,833)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე	(245,605)	(208,150)
ზრდა/კლება:		
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში	49,867	(53)
შემცირება/(ზრდა) სხვა აქტივებში	(1,523)	2,573
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	145,676	145,097
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადსა და პროცენტებამდე	(51,585)	(60,533)
მიღებული პროცენტები	13,847	32,328
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(143,253)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე	(37,738)	(171,458)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ბანკიდან დეპოზიტის გამოტანა	-	236,068
გაკეთებული ინვესტიციები	-	(996,341)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაზე	-	(760,273)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	997,000
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	997,000
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(37,738)	65,269
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	610,898	845,772
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	(10,942)	116,120
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	562,218	1,027,161

9-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი კაპიტალი“ დაფუძნდა 1999 წელს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,688,295 ლარს.

შპს „თიბისი კაპიტალი“ არის თიბისი ბანკის შვილობილი კომპანია და ლიზენცირებული საბროკერო ფირმა. 2017 წლიდან თიბისი კაპიტალი მოიაზრება თიბისი ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო ჯგუფის ნაწილად. თიბისი კაპიტალის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორაციული ფინანსებისა და საკრედიტო სარეიტინგო საკონსულტაციო მომსახურებას, სესხისა და აქციების კაპიტალის ბაზრების, საბროკერო და კვლევით მიმართულებებს. თიბისი კაპიტალი ასევე არის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი და მონაწილეობს მის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500,000 ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, კაპიტალთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

2017 წლის სექტემბერში თიბისი კაპიტალში მოხდა მენეჯმენტის ცვლილება, რის შედეგადაც თიბისი კაპიტალის დირექტორად დაინიშნა ირაკლი ელაშვილი.

2. წინა წლის რეკლასიფიკაცია

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის, 2016 წელს გაკეთდა ქვემოთ მოცემული რეკლასიფიკაცია:

	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	ახალი კლასიფიკაცია
მიზარებული ვალდებულებები	757,698	(11,282)	746,416
სხვა ვალდებულებები	-	11,282	11,282

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან წამოშობილი მოგება/ზარალი“

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.5005
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6468	3.2579

ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობებით:

რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციის დროს ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მაგალითია აქტიურ ბაზარზე არსებული ფასი. აქტიურ ბაზარში იგულისხმება, ისეთი გარემო, სადაც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება და ფასის შესახებ მუდმივად არსებობს ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე არსებული რეალური ღირებულება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა ყიდვა-გაყიდვაც შესაძლებელია აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება კოტირებული ფასისა და კომპანიის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბაზარზე ყოველდღიური საშუალო ვაჭრობის მოცულობა არაა საკმარისი და ერთ ოპერაციას შეუძლია მოახდინოს ფასზე გავლენა.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანსაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება ან როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასებისას წარმოშობილი შემოსავალი ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელსაც არ მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები, კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად არსებული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში.

ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში. თუ შეუძლებელია ასეთი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, კომპანია მას აღრიცხავს დაგროვილი გაუფასურებით შემცირებული თვითღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ისეთ ინვესტიციებს, რომლებსაც არ აქვთ კვოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე და მათი რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა არის შეუძლებელი აღრიცხულია თვითღირებულებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანსაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყის აღიარებას წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს სპეციალურ განმარტებით შენიშვნებს, რომლის მიხედვითაც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც წარმოაჩენს რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ განსხვავებულ მეთოდებს. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (დონე 1);
2. პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა აქტივებისა და ვალდებულებების პირდაპირ (ფასების მიხედვით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) შეფასება სხვა დაკვირვებად ბაზრებზე არსებული ფასების მიხედვით (დონე 2);
3. ისეთი აქტივების ან ვალდებულებების შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაკვირვებად ბაზარზე (კალკულაცია დაკვირვების გარეშე) (დონე 3).

რეალური ღირებულების იერარქიის დონე, რომელშიც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება არის კატეგორიზირებული, განსაზღვრულია ყველაზე დაბალი დონის მიხედვით რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისათვის. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მთლიანობაში კლასიფიცირებულია ამ სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში, საბროკერო ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებსა და მოთხოვნამდე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს.

არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივების ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
არამატერიალური აქტივები	10-12.5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე.

დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 16-ე შენიშვნა.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული, ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული, ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან, ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ახალი ფასს-ის მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს.

ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილებების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **გადასახადები.** ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგომნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	185,214	302,410
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	316,994	278,649
ფულასი სახსრები საბროკერო პლატფორმაზე	60,010	29,839
სულ	562,218	610,898

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-16 შენიშვნაში.

6. მიზარებული აქტივები და ვალდებულებები

მიზარებული აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მიერ განთავსებულ კლიენტების თანხებს რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში საბროკერო საქმიანობისთვის. ინფორმაცია ვალუტების მიხედვით არსებულ ნაშთებზე მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

7. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდექსს უნდა გადაიხადოს, აღნიშნული კოდი გამოიყენება ყველა სახის გადასახადისთვის. შესაბამისად, კომპანია საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს განაშთულს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის რეგისტრირებულ კლიენტთა რაოდენობა შეადგენს 488 და 388, აღნიშნული კლიენტების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების ჯამურმა ღირებულებამ 2017 და 2016 წელს 231,125,202 ლარი და 83,589,254 ლარი შეადგინა.

8. ინვესტიციები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაყიდად გამიზნული ინვესტიცია შედგება სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" და სს "თბილისის საფონდო ბირჟის" ჩვეულებრივი აქციებისგან, რომელთა ღირებულებაც შედგება 818,342 ლარის და 185,997 ლარისგან.

ინვესტიციის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 24 დეკემბერსაა განხორციელებული, აღნიშნულ თარიღამდე თიბისი კაპიტალი სს "საქართველოს საფონდო ბირჟაში" ფლობდა ჩვეულებრივი აქციების 4%-ს, რომლის ღირებულებაც 7,998 ლარი იყო.

2016 წელს 24 დეკემბერს კომპანიამ განხორციელა დამატებითი ინვესტიცია სს "საქართველოს საფონდო ბირჟაში" 178,000 ლარის ოდენობით, ინვესტიციის შემდეგ კომპანიის წილმა სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" სააქციო კაპიტალის 17.33% შეადგინა. ამავე თარიღში კომპანიამ შეიძინა სს "თბილისის საფონდო ბირჟის" ჩვეულებრივი აქციები 818,342 ლარის ოდენობით, ინვესტიციის შემდეგ კომპანიის წილმა სს "თბილისის საფონდო ბირჟის" სააქციო კაპიტალის 21,59% შეადგინა. ინვესტიციის მიზანი საქართველოში საფონდო ბირჟის განვითარების ხელშეწყობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	საიტი	კომპიუტერული პროგრამები	სულ
2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შემოსვლა	9,672	8,820	18,492
2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შემოსვლა	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შემოსვლა	9,672	8,820	18,492
2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	9,672	8,820	18,492
დაგროვილი ცვეთა			
2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(302)	(6,340)	(6,642)
2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(1,511)	(640)	(2,151)
2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(1,813)	(6,980)	(8,793)
2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	(1,335)	(642)	(1,977)
2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	(3,148)	(7,622)	(10,770)
საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	7,859	1,840	9,699
2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	6,524	1,198	7,724

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	%	31 დეკემბერი 2017	%	31 დეკემბერი 2016
სს "თიბისი" ბანკი	100%	2,688,295	100%	2,688,295
სულ	100%	2,688,295	100%	2,688,295

11. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გადასახდელი ხელფასები	112,614	-
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	30,472	2,882
გადავადებული შემოსავალი	8,578	8,400
სულ	151,664	11,282

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. საბროკერო შემოსავლები და პირდაპირი ხარჯები

საბროკერო შემოსავლები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან		
საკომისიო ბონდების გამოშვების საკომისიოდან	643,900	231,449
შემოსავალი სხვა საბროკერო საქმიანობიდან	101,562	183,055
სხვა	9,056	14,635
სულ	754,518	429,139

პირდაპირი ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
პირდაპირი ხარჯები		
მომსახურების ხარჯები	(116,575)	(41,380)
საკონსულტაციო ხარჯები	(96,783)	(59,267)
ხელფასები	(73,170)	(52,500)
საკომისიო ხარჯები	(40,162)	(24,745)
სხვა	(6,086)	(6,152)
სულ	(332,776)	(184,044)

13. სხვა შემოსავალი

2017 წელს კომპანიამ საბროკერო საქმიანობასთან ერთად საკონსულტაციო მომსახურებიდანაც მიიღო შემოსავალი, რომელმაც შეადგინა 78,396 და 156,194 ლარი 2017 და 2016 წლების შესაბამისად.

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
კონსულტაციის ხარჯი	(15,096)	(15,703)
მივლინების ხარჯი	(14,668)	(25,978)
საბანკო ხარჯი	(4,243)	(2,397)
საიჯარო ხარჯი	(2,910)	(2,822)
ამორტიზაცია	(1,975)	(2,151)
სხვა ხარჯები	(1,492)	(4,775)
სულ	(40,384)	(53,826)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ხელფასები	(590,594)	(506,514)
ბონუსები	(116,739)	(51,250)
სულ	(707,333)	(557,764)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფული ბანკში	562,218	610,898
მობარებული აქტივები	746,416	416,263
სხვა ფინანსური აქტივები	1,011,712	1,004,657
მიზარებული ვალდებულებები	746,416	416,263
სხვა ვალდებულებები	143,086	2,882

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დაზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაანეიტრალებლად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	2017
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	245,224	300,388	-	16,606	562,218
მობარებული აქტივები	40,756	196,892	317,887	190,881	746,416
სხვა ფინანსური აქტივები	1,011,712	-	-	-	1,011,712
სულ ფინანსური აქტივები	1,297,692	497,280	317,887	207,487	2,320,346
ფინანსური ვალდებულებები					
მობარებული ვალდებულებები	40,756	196,892	317,887	190,881	746,416
სხვა ვალდებულებები	143,086	-	-	-	143,086
სულ ფინანსური ვალდებულებები	183,842	196,892	317,887	190,881	889,502
ღია სავალუტო პოზიცია	1,113,850	300,388	-	16,606	

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	2016
ფინანსური აქტივები				
მობარებული აქტივები	298,001	298,908	13,989	610,898
თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე	14,630	362,712	38,921	416,263
სხვა ფინანსური აქტივები	1,004,657	-	-	1,004,657
სულ ფინანსური აქტივები	1,317,288	661,620	52,910	2,031,818
ფინანსური ვალდებულებები				
მობარებული ვალდებულებები	14,630	362,712	38,921	416,263
სხვა ვალდებულებები	2,882	-	-	2,882
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,512	362,712	38,921	419,145
ღია სავალუტო პოზიცია	1,299,776	298,908	13,989	

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

2017	აშშ დოლარი კურსის ცვლილების გავლენა		ბრიტანული ფუნტი ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფუნტი + 20%	ლარი/ფუნტი + 20%
მოგება/(ზარალი)	60,078	(60,078)	-	-
2016				
2016	დოლარი კურსის ცვლილების გავლენა		ბრიტანული ფუნტი ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფუნტი + 20%	ლარი/ფუნტი + 20%
მოგება/(ზარალი)	59,782	(59,782)	2,798	(2,798)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაანეიტრალებლად მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების დაფარვის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები.

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი შშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	
მიზარებული აქტივები	188,338	746,416	113,964	416,263	
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი 188,338		113,964		
ფული და ფულის ექვივალენტები	562,218	562,218	563,252	610,898	
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი 562,218		563,252		
მიზარებული ვალდებულებები	188,338	746,416	113,964	416,263	
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი 188,338		113,964		

დირექტორების და მენეჯმენტის სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამჯელო		
- მოკლევადიანი გასამჯელო	(542,744)	(507,900)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებში აღიარებულ თანხებს:

სრული შემოსავლების ანგარიშგება		2017		2016	
ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,688)	(40,384)	(2,752)	(53,826)	
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	(3,688)	(2,752)		
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	13,851	13,851	26,212	32,328	
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	13,851	26,212		
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	38,487	754,518	178,256	429,139	
სხვა					
შპს "თიბისი კრედიტი"	დაკავშირებული მხარე	34,888	99,412		
სს "თიბისი ლიზინგი"	სხვა დაკავშირებული მხარე	3,599	70,400		
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი კომპანია	24,738	-		
	დამფუძნებელი კომპანიის გენერალური დირექტორი	-	8,444		
ვახტანგ ბუცხრიკიძე	დირექტორი				

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

“ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში იგეგმება ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საბროკერო კომპანია ექცევა საზოგადოებრივი დაინტერესებული პირის (სდპ) განმარტებაში. ზემოაღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის შემდგომ, საზოგადოებრივ დაინტერესებულ პირზე აღნიშნული კანონით განსაზღვრული მოთხოვნები გავრცელდება თიბისი კაპიტალზე, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ყოველწლიურად აღიარებული ფინანსური ანგარიშგების მმართველობით ანგარიშგებასთან ერთად გამოქვეყნებას.